

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	31.12.2018	31.12.2019	
აქტივები			
მიმდინარე აქტივები, სულ:	1184554	1052900	
ფულადი სახსრები	547280	574123	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	58998	43977	3.3
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	320424	46224	3.4
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	228174	164681	3.5
სხვა მიმდინარე აქტივები	29678	223895	3.6
გრძელვადიანი აქტივები, სულ:	7385080	5525456	
ძირითადი საშუალებები	4129877	2569141	3.7
არამატერიალური აქტივები	9244	13533	3.8
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	3245959	2942782	3.2
სულ აქტივები:	8569634	6578356	
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ:	2399292	1900844	
სავაჭრო ვალდებულებები	1528181	1184819	3.9
მოკლევადიანი სესხები	250000		3.10
საგადასახადო ვალდებულებები	402432	539558	3.11
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	218679	176467	3.12
გრძელვადიანი ვალდებულებები, სულ:	5491491	4559692	
გრძელვადიანი სესხები	5491491	4559692	3.13
სულ კაპიტალი:	678851	117820	3.14
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი	200	200	
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	678651	117620	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	8569634	6578356	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაცემი წესიდან 30.09.2019 წ.

დირექტორი

ა. ლიპაძე

თამილა მაისურაძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



შპს "ანტრე-2008"

მოგება-ზარალის, სხვა სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL		შენიშვნა
	საანგარიშგებო პერიოდი	
	2018	
ამონაგები	16475609	3.15
რეალიზებული პროდუქციის / გაწეული მომსახურების თვითღირებულება	-7161637	3.16
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან	9313972	
მიწოდების ხარჯები	-1409	3.16
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-7252674	3.17
სხვა საწარმოო დანიშნულების ხარჯები	-960141	3.16
სულ საოპერაციო ხარჯები:	-8214224	
საპროცენტო შემოსავალი	303177	
დადებითი საკურსო სხვაობები	1660	
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები	12764	
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	317601	3.18
ზარალი ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გასვლიდან	-487845	
ფინანსური დანახარჯები	-199196	
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-169277	
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები	-856318	3.19
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	561031	
მოგება დაზღვევამდე:		
მოგების გადასახადის ხარჯი	561031	
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი		
სულ საანგარიშგებო პერიოდის სხვა სრული შემოსავალი:	561031	
სულ საანგარიშგებო პერიოდის სრული შემოსავალი:		
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	117820	
ახალი აქციების გამოშვება / კაპიტალის ზრდა		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი):	561031	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	678851	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.

დირექტორი ა. ბ. ბერიძე თამილა მამსურაძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)

ერთეული: 1 GEL

	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:	
მიყიდვებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	18940964
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-11647651
გაცემული შრომის ანაზღაურება	-3091329
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	-2417137
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	-28912
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	1755935
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:	
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	-2277631
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	-2277631
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:	
სესხების აღება	2108204
სესხების დაფარვა	-1125495
გადახდილი პროცენტები	-487845
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	494864
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	-11
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	-26843
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	574123
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	547280

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.

დირექტორი

ა. ბილა

თამილა მასისურაძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



2018 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ანტრე 2008“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2008 წლის 4 მარტს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 204549792, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, ჯანაშიას ქ., N 28, ბ7. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის ერთადერთი, 100%-იანი წილის მფლობელია თამილა მაისურაძე (პ.ნ. 01008000666).

1.3. კომპანიის დირექტორია თამილა მაისურაძე (პ.ნ. 01008000666).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა საცალო ვაჭრობა პურით, ნამცხვრებით, ფქვილოვანი და შაქრიანი საკონდიტრო ნაწარმით სპეციალიზებულ მაღაზიებში. კომპანია საანგარიშგებო პერიოდში სავაჭრო საქმიანობას ახორციელებდა ლოკაციის 15 ადგილიდან (თბილისში).

1.5. კომპანიას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25-40 წელი;

მანქანა-დანადგარები - 8-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

სარეკლამო საშუალებები - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 10 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს

ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისის შემთხვევებისა).

2017-2018 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.5922 ლარი;

1 EUR=3.1044 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2018 წელს: 1 USD=2.5345 ლარი;

1 EUR=2.9940 ლარი.

2017 წელს: 1 USD=2.5086 ლარი;

1 EUR=2.8596 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
ნაღდი ფული საღაროში	547028	281903
ლარი საბანკო ანგარიშებზე	88	292220
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	153	
EUR საბანკო ანგარიშებზე	11	
სულ:	547280	574123

3.2. გაცემული მიმდინარე სესხები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
გაცემული სესხი და მასზე დარიცხული	3245959	2942782
სულ:	3245959	2942782

2018 წლის ბოლოსათვის დარჩენილი დავალიანება წარმოადგენს გაცემულ სესხს, რომელიც დაიფარება 31.12.2026.

3.3. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები საქონლის გაყიდვიდან	58999	43977
სულ:	58999	43977

2018 წლის ბოლოსათვის, კომპანიას საექვო ვალები არ აქვს. გადაუხდელი მოთხოვნები არის საქართველოს რეზიდენტი და არარეზიდენტ იურიდიული და ფიზიკური პირების წინაშე 31.12.2018 წ. მდგომარეობით.

3.4. გადახდილი ავანსები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	320424	46224
სულ:	320424	46224

3.5. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
ძირითადი ნედლეული და მასალები	181931	126219
შესაფუთი და დამხმარე მასალები	45738	38336
საწვავ-საცხები მასალები	505	126
სულ:	228174	164681

3.6. სხვა მიმდინარე აქტივები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
სხვა მიმდინარე აქტივები	29678	223895
სულ:	29678	223895

3.7. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
მიწა არასასოფლო სამეურნეო 489 კვ.მ.	257556	257556
მიწა არასასოფლო სამეურნეო 231 კვ.მ.	44610	0
შენობები	1562914	530905
მანქანა-დანადგარები	636235	587146
ოფისის აღჭურვილობა	97129	102482
კომპიუტერული ტექნიკა	25922	20050
ელექტრონული მოწყობილობები (გარდა	34997	33094
ავეჯი	311265	157516
სატრანსპორტო საშუალებები	0	6218
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	919190	659514
მცირეფასიანი ძს 150 ლარიდან 1000	79899	89809
სპეცტანსაცმელი და მსგავსი ფასეულობები	32364	33157
ჭურჭელი და მსგავსი ინვენტარი	95922	66956
ბიოლოგიური აქტივები	31872	24738
სულ:	4129877	2569141

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2017 წლის ბოლოს - 4156380 ლარი;

2018 წლის ბოლოს - 4878538 ლარი.

3.8. არამატერიალური აქტივები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
პატენტები	150	1329
პროგრამული უზრუნველყოფა	8110	10926
სხვა არამატერიალური აქტივები	704	824
მცირეფასიანი არამატერიალური აქტივები	280	454
სულ:	9244	13533

არამატერიალური აქტივების ერთიანი დაგროვილი ამორტიზაციის თანხა შეადგენდა:

2017 წლის ბოლოს - 11294 ლარი;

2018 წლის ბოლოს - 15583 ლარი.

3.9. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
დავალიანება მიმწოდებლების მიმართ	1528181	1184819
სულ:	1528181	1184819

31.12.2018 წ. მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა კრედიტორული დავალიანება რეზიდენტი და არარეზიდენტი მიმწოდებლის წინაშე.

3.10 მოკლევადიანი სესხები

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება	250000	
სულ:	250000	0

საკრედიტო ხაზი სს „თიბისი ბანკში“

3.11. საგადასახადო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
მიმდინარე საგადასახადო დავალიანება	402432	539558
სულ:	402432	539558

3.12. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
გადასახდელი ხელფასები	204193	157819
მომსახურება არარეგისტრირებული ფიზიკური პირებისაგან	11683	13521
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	2803	5127
სულ:	218679	176467

3.13 გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
თი-ბი-სი ბაკი ხელშ 1823401-8677017	656028	750476
თი-ბი-სი ბაკი ხელშ 1823401-9472330	296837	350000
თი-ბი-სი ბაკი ხელშ 1823401-9487731	0	250000
თი-ბი-სი ბანკი ხელშ 1823401-9061816	207462	221962
თი-ბი-სი ბანკი ხელშ 1823401-2730646	145221	179697
თი-ბი-სი ბანკი ხელშ 1823401-8158747	167915	199908
თი-ბი-სი ბანკი ხელშ 1823401-9061791	243542	260565
თი-ბი-სი ბანკი ხელშ 1823401-10200348	329598	
თი-ბი-სი ბანკი ხელშ 1823401-10199588	219732	
თი-ბი-სი ბანკი ხელშ 1823401-2475243	1291207	1701523
თი-ბი-სი საკრედიტო ხაზი 1823401-2324005	511808	645562
თი-ბი-სი საკრედიტო ხაზი 1823401-9737411	1422140	
სულ:	5491491	4559692

სს „თიბისი ბანკიდან“ აღებული სამი სესხი არის აშშ დოლარებში. 2018 წლის ბოლოს გადასახდელი სესხის გამოხატულება აშშ დოლარებში შეადგენს 722539 USD-ს.

3.14 საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
გადასახდელი ხელფასები	204193	157819
მომსახურება არარეგისტრირებული ფიზიკური პირებისაგან	11683	13521
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	2803	5127
სულ:	218679	176467

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმის შესახებ (დაბეგვრის ახალი წესი ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი ფაქტობრივად გაცემის თარიღამდე. 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ეს კანონი ძალაში შევიდა ყველა კომერციული იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები). ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, კომპანიის 2018 წლის მოგების განაწილება არ მომხდარა

3.15. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	2018 წელი
ამონაგები რეალიზაციიდან	16475609
სულ:	16475609

2018 წელს, კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა მზა პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით.

3.16. მიწოდების ხარჯები:

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება შეადგენს 7,161,637 ლარს.

სარეკლამო ხარჯი არის 1409 ლარი და საწარმოო დანიშნულების სამეურნეო ხარჯი 960,141 ლარი.

3.17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2018 წელი
შრომის ანაზღაურება	3908104
შემძენილი მომსახურება	75215
საიჯარო ქირა	1236915
ელექტროენერგიის ხარჯი	274642
გაზი და წყალი	81842
დასუფთავება	15938
მცირეფასიანი ინვენტარი	7301
საკანცელარიო ხარჯი	2213
კომპიუტერის ხარჯები	120
დაცვის ხარჯები	59379
კომუნიკაციის ხარჯები	39627
ტექნიკური მომსახურების ხარჯი	3113
საწვავის ხარჯები	86895
კომპიუტერის ხარჯები	3634
საკონსულტაციო ხარჯები	55227
სანოტარო ხარჯი	23
საავტორო უფლების ხარჯი	4957
ცვეთა და ამორტიზაცია	722157
საერთო დანიშნულების არამატ. აქტივების ამორტიზაცია	4289
სხვა საგადასახადო ხარჯი	30454
ბანკის ხარჯი	9488
ბანკის ხარჯი კონვერტაციიდან	18930
ბანკის ხარჯი ტერმინალების ჩარიცხვებიდან	162170
ძს რემონტი (გარდა ა/მ)	42762
ავტომანქანების რემონტი	4443
ძს (გარდა ავტომანქანებისა) საექსპლუატაციო ხარჯები	158
წარმომადგენლობითი ხარჯი	37251
სხვა საერთო ხარჯი	21288
მცენარეების მოვლის ხარჯები	481
საქველმოქმედო ხარჯები	343657
სულ:	7252674

3.18. არასაოპერაციო შემოსავლები:

	2018 წელი
სხვა საპროცენტო შემოსავლები (ფვ)	303177
სულ:	303177
	2018 წელი
დადებითი საკურსო სხვაობები	1660
სულ:	1660
	2018 წელი
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	6506
ვალუბის ჩამოწერით ან პატივებით მიღებული შემოსავლები	4154
ნაჩუქარი ქონება და სხვა სარგებელი	2105
სულ:	12764

3.19. არასაოპერაციო ხარჯები:

	2018 წელი
უარყოფითი საკურსო სხვაობა	199196
სულ:	199196
	2018 წელი
ჯარიმები და საურავები ბიუჯეტში	168995
აქტით დარიცხული ჯარიმები	282
სულ:	169277
	2018 წელი
საპროცენტო ხარჯი	487845
სულ:	487845

სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები ძირითადად შედგება ხანდაზმული მოთხოვნების ჩამოწერისაგან და გადახდილი არასაგადასახადო ჯარიმებისა და პირგასამტეხლოებისაგან.

3.20. საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

2018 წელს მოგების განაწილება არ მომხდარა და შესაბამისად, 2018 წელს კომპანიას არ ჰქონდა მოგების გადასახადის ხარჯი. მოგებამ შეადგინა 561,031 ლარი. საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეადგენს 678,851 ლარს.

3.23. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 30 სექტემბერს.